სტუდენტთა 89-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. კონფერენციის ჩატარების ფორმა:

1.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 89-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს;

1.2. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტი ვალდებულია, გაიაროს ონლაინ რეგისტრაცია წინამდებარე დებულების 2.1. პუნქტის დაცვით და რეგისტრაციისას, მიმაგრებული ფაილის სახით (MS Word), წარადგინოს საკუთარი ნაშრომის ქართულ- და ინგლისურენოვანი თეზისი ამ დებულების დანართის (თეზისის ტექნიკური გაფორმების ინსტრუქცია) მოთხოვნათა სრული დაცვით, ასევე პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ფოტოსურათი ან დასკანირებული ვერსია (png, jpg, docx, PDF);

1.3. სტუდენტი, რომელიც არ გაივლის რეგისტრაციას, არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში;

1.4. კონფერენციაში მონაწილე დარეგისტრირებული სტუდენტი ვალდებულია, ნაშრომის ერთი ეგზემპლარი წარადგინოს შესაბამის ფაკულტეტზე, სათანადო სექციის ხელმძღვანელ პირთან 2025 წლის 30 აპრილიდან 20 მაისამდე;

1.5. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ერთმა ხელმძღვანელმა არ შეიძლება მოამზადოს ხუთ სტუდენტზე მეტი;

1.6. ჟიურის წევრი, რომელიც ამავდროულად არის თემის ხელმძღვანელი, არ ახდენს აღნიშნული ნაშრომის შეფასებას; ასეთ ნაშრომს მიეცემა ჟიურის დანარჩენი წევრების ჯამური შეფასების საშუალო არითმეტიკული;

1.7. ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის კონკურსი ტარდება ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად; შესაბამისად, კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტები გამოვლინდებიან ჟიურის მიერ (თითოეულ სექციაზე ცალ-ცალკე) სწავლების საფეხურების მიხედვით;

1.8. ჟიურის შემადგენლობა მტკიცდება დეკანის ბრძანებით. ჟიურის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს მინიმუმ 5 მაქსიმუმ 7 წევრი (მათ შორის ჟიურის თავმჯდომარე) და ერთი სტუდენტი, რომელსაც აქვს დამსწრის და არა შემფასებლის სტატუსი;

1.9. სტუდენტის მიერ საკუთარი ნაშრომის წარმოდგენისა და ჟიურის წევრებთან კითხვა-პასუხის დრო განისაზღვრება 10-20 წუთით. ჟიურის მიერ ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია:

1) ნაშრომის აქტუალურობა;
2) ნაშრომში დასმული საკითხის ავტორისეული გადაწყვეტა და დასკვნების დასაბუთება;
3) დისკუსია ჟიურის წევრთან;
4) მომხსენებლის გადმოცემის უნარი;
5) ნაშრომის პრეზენტაცია.

1.10. თითოეულ კრიტერიუმში მაქსიმალური შეფასება არის 10 ქულა. საბოლოო შედეგი გამოითვლება თითოეული კრიტერიუმის ქულათა ჯამური რაოდენობით. ერთნაირი ქულების შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სექციის ჟიური ხმათა უმრავლესობით;

1.11. კონფერენციის თითოეულ სექციაში გამარჯვებული ნაშრომის რაოდენობა არ შეიძლება იყოს სამზე მეტი - ერთი I, ერთი II, ერთი III ადგილი (გამარჯვებულთა გამოვლენა ხდება სწავლების საფეხურების მიხედვით 1.7. პუნქტის შესაბამისად);

1.12. სექციის ხელმძღვანელი ვალდებულია, სექციის მუშაობის ანგარიში (ოქმის და დანართების ფიზიკური და ელექტრონული ვერსია, სექციის მუშაობის აუდიო/ვიდეოტექნიკური ჩანაწერი (CD ან DVD)) წარმოადგინოს სტუ-ის სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში სექციის მუშაობის დასრულებიდან 5 დღის ვადაში.

2. კონფერენციაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ძირითადი თარიღები

2.1. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა ონლაინ რეგისტრაცია იწარმოებს ვებგვერდზე https://studconf.gtu.ge 2025 წლის 30 აპრილიდან 11 მაისის ჩათვლით (ყოველ დღე).

2.2. კონფერენცია გაიხსნება 2025 წლის 4 ივნისს, 16:00 საათზე, ქ. თბილისი, მ. კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის ივანე ჯავახიშვილის სახელობის დარბაზში;

2.3. კონფერენციის სექციების მუშაობა გაიმართება 2025 წლის 5 ივნისიდან 21 ივნისამდე.

2.4. კონფერენცია დახურვის ღონისძიება გაიმართება 8 ივლისს, 16:00 საათზე, ქ. თბილისი, მ. კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის ივანე ჯავახიშვილის სახელობის დარბაზში.

3. კონფერენციის სამუშაო სექციები

სამშენებლო ფაკულტეტი

1. მშენებლობის სექცია;
2. ჰიდროინჟინერიის სექცია;
3. საგზაო სექცია;
4. მშენებლობის მენეჯმენტის სექცია.

ენერგეტიკის ფაკულტეტი

1. თბოენერგეტიკის, ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და ენერგოაუდიტის სექცია;
2. საწარმოო ინოვაციების და ოპერაციათა მენეჯმენტის სექცია;
3. ელექტროენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის სექცია;
4. ელექტროტექნიკის და ელექტრონიკის სექცია;
5. ელექტრომოხმარების ტექნოლოგიების სექცია;
6. ჰიდროენერგეტიკისა და მაგისტრალური სამილსადენო სისტემების სექცია.

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

1. საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის სექცია;
2. გამოყენებითი გეოლოგიის სექცია;
3. ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სექცია;
4. შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სექცია;
5. სამთო ტექნოლოგიების სექცია.

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

1. ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სექცია;
2. ქიმიის სექცია;
3. ფარმაციის სექცია;
4. გარემოს დაცვითი ინჟინერიისა და ეკოლოგიის სექცია;
5. მეტალურგიის და მასალათმცოდნეობის სექცია;
6. სასურსათო პროდუქტების წარმოების ინჟინერიის სექცია.

სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი

1. მექანიკის ინჟინერიისა და სამრეწველო ტექნოლოგიების სექცია;
2. სარკინიგზო ტრანსპორტის სექცია;
3. საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის სექცია;

4. ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტის სექცია;
5. საავტომობილო ტრანსპორტის სექცია;
6. ლოგისტიკის სექცია.

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

1. არქიტექტურული საფუძვლების და თეორიის სექცია;
2. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და გარემოს დიზაინის სექცია.

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

1. სამართლის სექცია;
2. პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სექცია.

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

1. პროგრამული ინჟინერიის და ხელოვნური ინტელექტის სექცია;
2. კომპიუტერული ინჟინერიის სექცია;
3. ინფორმაციული ტექნოლოგიების და სისტემების სექცია;
4. მართვის სისტემების და ავტომატიზაციის სექცია;
5. მიკროპროცესორული და საზომი სისტემების სექცია;
6. საინჟინრო ფიზიკის სექცია;
7. მათემატიკის სექცია;
8. ბიოსამედიცინო ინჟინერიის სექცია;
9. ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექცია.

დიზაინის საერთაშორისო სკოლა

1. დიზაინის სექცია.

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი

1. აგრარული ტექნოლოგიების სექცია;
2. სასურსათო ტექნოლოგიების სექცია;
3. მევენახეობა-მეღვინეობის სექცია;
4. აგროინჟინერიის სექცია;
5. სატყეო სექცია;
6. მეცხოველეობის და ვეტერინარიის სექცია.

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

1. ბიზნესის ადმინისტრირების სექცია;
2. ტურიზმის და მარკეტინგის სექცია;
3. საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის სექცია;
4. საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების სექცია.

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების სექცია;
2. არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის სექცია;
3. საინჟინრო ეკონომიკის სექცია;
4. ფილოსოფიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სექცია;

5. სოციალური მეცნიერებების სექცია;
6. თეოლოგიის სექცია.

მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი

1. მთის მდგრადი განვითარების სექცია.

4. კონფერენციის ორგანიზება და მართვა

4.1. კონფერენციის მომზადებას და ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი;

4.2. აღნიშნულ დეპარტამენტს კონფერენციის ორგანიზებასთან დაკავშირებით ეკისრება შემდეგი ფუნქციები:

ა) ფაკულტეტების დეკანებთან და შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობს კონფერენციის სექციების ჟიურის შემადგენლობის დამტკიცების პროცესში;

ბ) ახორციელებს მონიტორინგს კონფერენციის მიმდინარეობაზე;

გ) ორგანიზებას უწევს კონფერენციაში მონაწილე სტუდენტების თეზისების კრებულის გამოცემას, კონფერენციაში გამარჯვებული და მონაწილე სტუდენტებისათვის სერტიფიკატების დამზადებას და გაცემას;

დ) კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით უზრუნველყოფს სხვა საჭირო სამუშაოების შესრულებას.

4.3. ფაკულტეტის დეკანები და დეპარტამენტების ხელმძღვანელები ატარებენ ყველა საჭირო მოსამზადებელ სამუშაოს კონფერენციის მაღალ დონეზე ჩასატარებლად: ფაკულტეტის დეკანები უზრუნველყოფენ შესაბამის სექციაში ერთი პასუხისმგებელი პირის (ცექციის ხელმძღვანელი) გამოყოფას, რომელიც უზრუნველყოფს:

ა) ამ დებულების 1.2. და 1.4. პუნქტების მიხედვით სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების მიღებას;

ბ) სექციის მუშაობის მსვლელობის დაფიქსირებას აუდიო/ვიდეოტექნიკური საშუალებით, რომელიც ჩაიწერება ელექტრონულ მატარებელზე (CD ან DVD).

გ) კონფერენციის სექციის სხდომის ოქმის, დანართების ფიზიკურ და ელექტრონული ვერსიების, აუდიო/ვიდეოტექნიკური ჩანაწერის წარდგენას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში.

4.4. დეპარტამენტები, თემის მოსამზადებლად შესაბამისი მითითებების გაცემის მიზნით უზრუნველყოფენ პროფესორ-მასწავლებლების მიმაგრებას იმ სტუდენტებზე, რომლებიც გამოთქვამენ კონფერენციაში მონაწილეობის სურვილს.

5. კონფერენციასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები

სამეცნიერო კონფერენციასთან დაკავშირებით განხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები:

5.1. გამოიცემა შრომების თეზისების კრებული, რომელშიც დაიბეჭდება კონფერენციაში მონაწილე თითოეული სტუდენტის ნაშრომის ქართულ- და ინგლისურენოვანი თეზისი (კრებულში დაიბეჭდება მხოლოდ ამ დებულების მოთხოვნათა სრული დაცვით წარმოდგენილი თეზისები);

5.2. კონფერენციაში მონაწილე გამარჯვებულ სტუდენტებს გადაეცემათ I, II და III ხარისხის სერტიფიკატები;

5.3. კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებს, რომლებიც ვერ დაიკავებენ საპრიზო ადგილს, გადაეცემათ მონაწილეობის სერტიფიკატი.

თეზისის ტექნიკური გაფორმების ინსტრუქცია

ნაშრომის სათაური

სტუდენტი	სახელი, გვარი უნივერსიტეტი, ფაკულტეტი, სწავლების საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), კურსი
ხელმძღვანელი	სახელი, გვარი აკადემიური თანამდებობა

თეზისის ტექსტი ქართულ ენაზე
(არანაკლებ 10 და არაუმეტეს 12 სტრიქონისა)

Title of an article

Student	Name, Surname University Faculty, Study Level (Bachelor, Master, PhD), Year
Supervisor	Name, Surname Academic Position

Text of the summary in English language
(not less than 10 and not more 12 lines)

ტექსტის ზომა - 12 pt; ტექსტის ფონტი - Sylfaen	Text size - 12 pt; Text font - Sylfaen
სტრიქონებს შორის დაშორება - 1	Distance between lines - 1
ზედა საზღვარი - 3 სმ.	Upper border - 3 cm.
ქვედა საზღვარი - 2 სმ.	Lower border - 2 cm.
მარჯვენა საზღვარი - 2 სმ.	Right border - 2 cm.
მარცხენა საზღვარი - 2.5 სმ.	Left border - 2.5 cm.